დამტკიცებულია
შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს
დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის N178 ბრძანებით
დანართი N1

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია

თბილისი
2026

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის (შემდგომში -კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ინიცირების, პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და პროგრამის გაუქმების პროცედურებს.

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებები/საგანმანათლებლო პროგრამა გულისხმობს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

1.3. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ,პროფესიულ სტუდენტთა/აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.);

1.4. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით;

1.5. კოლეჯის პროგრამების დაგეგმვა და შემუშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად;

1.6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას;

1.7. აღნიშნული წესი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ" და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე.

1.8. პროგრამის შემუშავება და შეფასება ეყრდნობა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69 ბრძანებასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს.

1.9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა განისაზღვრება სასწავლო მოდულების შედეგებით (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა), და სწავლების ფორმატით (იმიტირებული, კოოპერაციული და დუალური.).

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა/შემუშავება

2.1. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფში შედიან დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები

2.3. პროგრამით განსაზღვრული უნდა იყოს პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

2.4. პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დანართებს: პროგრამის ძირითადი დოკუმენტი; სასწავლო გეგმა; ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ; მატერიალური რესურსი - აღჭურვილობა; მასალა/ნედლეული და მოდულები. დუალურ პროგრამას გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დანართებისა ემატება „შედეგების განაწილების სქემა კოლეჯსა და საწარმოს შორის“ და ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან (ხელშეკრულებას თან უნდა ახლდეს სასწავლო საწარმოს/კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი და ინფორმაცია სასწავლო საწარმოს/კომპანიის ინსტრუქტორ(ებ)ის შესახებ). პროგრამაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის განხორცილების ადგილი, ხოლო დუალური პროგრამის შემთხვევაში - პარტნიორი საწარმოები.

2.5. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

2.6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი (ჩარჩო დოკუმენტი) მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა. თუ პროგრამა სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა დარჩეს.

2.7. არჩევით მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება. პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში – მაღალი დონის მოდულები, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია.

2.8. პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ-ს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

2.9. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის ინტერვალი უნდა განისაზღვროს მინიმუმ 1 კვირით.

2.10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე ინიცირება შეუძლია კოლეჯში დასაქმებულ ნებისმიერ პირს, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო, მათ შორის, ზოგადი საგანმანათლებლო მოდულებით ინტეგრირებული პროგრამების, მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი პროფესიული კურსების შერჩევა/დამატება ხდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე.

2.11. განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ „მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი“ იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად, ხოლო პროგრამების ნუსხა (ჩამონათვალი) თანხმდება კოლეჯის დამფუძნებელთან საანგარიშო წლის დასაწყისში კოლეჯის სამოქმედო გეგმასთან ერთად;

2.12. პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე გარემოებას:

ა) კოლეჯის სამოქმედო არეალში არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.)

ბ) დაწესებულება აფართოებს პროგრამათა სპექტრს;

გ) პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას, ხელს უწყობს პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;

დ) რეესტრის მონაცემები (სწავლის მსურველთა რაოდენობა), იმ შემთხვევაში, როცა უქმდება ჩარჩოს დოკუმენტი, რის საფუძველზეც ჰქონდა კოლეჯს განხორციელების უფლებამოსილება მოპოვებული და იწყებს ახალი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი პროგრამის შემუშავებას);

ე) სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად.

2.13. კანონით დადგენილი და კოლეჯის შიდა რეგულაციით (‘პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია’) განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში კოლეჯი იწყებს მუშაობას ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე;

2.14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა. პროგრამის მოცულობა განისაზღვრება კრედიტების რაოდენობის მიხედვით, სადაც ერთი კრედიტი უდრის 25-30 ასტრონომიულ საათს. პროგრამის მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, შესაბამისად, შეიცვლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა;

2.15. პროგრამის შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევს კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი, ჯგუფის წევრები შეირჩევა პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - დირექტორის ბრძანებით;

2.16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში/მოდულების მოდიფიცირებაში მონაწილეობენ როგორც ზოგადი მოდულების, ასევე შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები, დასამტკიცებლად წარდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს თან ერთვის: სასწავლო გეგმა, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების ჩამონათვალი;

2.17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში/მოდულების მოდიფიცირებაში მონაწილეობენ როგორც ზოგადი მოდულების, ასევე შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები, დასამტკიცებლად წარდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს თან ერთვის: სასწავლო გეგმა, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების ჩამონათვალი;

2.18. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო გეგმების და სასწავლო განრიგის შესაბამისობას უზრუნველყოფს სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

2.19. სასწავლო გეგმა თავის თავში არ მოიცავს სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2/B1“ მოდულისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ,,ქართული ენა A2/B1" მოდული არ შედის საგანმანათლებლო პროფესიული სტანდარტის დოკუმენტში, მოდულის კვირეული დატვირთვა გაწერილია ცალკე. ,,ქართული ენა A2/B1" მოდულის განხორციელება/ სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება მოდულისა და კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად;

2.20. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ერთ კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა. ასევე იმ შემთხვევაში, როცა სასწვლო გეგმით განსაზღვრულია შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასება, დასაშვებია სტუდენტის კვირეული დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. ასევე, სასწავლო კვირაში, სადაც სრულდება მოდულ(ებ)ი, შესაძლოა, სტუდენტის საათობრივი დატვირთვა იყოს 30 საათზე ნაკლები. ქართული ენა A2/B1“ მოდულის სწავლება შესაძლებელია შესრულდეს 30 საათზე ნაკლები კვირეული დატვირთვით;

2.21. იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პრაქტიკის განსახორციელებლად დაწესებულებაში არსებულ C გარემოში, პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია (ფართის დამადასტურებელი და აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ, ხოლო, თუ საწარმოო პრაქტიკის ობიექტი/კლნინიკური დაწესებულება არის სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ, მაშინ პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს პრაქტიკის განხორციელებისთვის ოფიციალური შეთანხმების დოკუმენტი (მემორანდუმი/ ხელშეკრულება) და პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი;

2.22. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს და მტკიცდება ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - დირექტორის ბრძანებით;

2.23. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს, კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. ზოგადი უცხოური ენის შედეგები უნდა გამოიმუშავებდეს საგანმანათლებლო პროგრამით გაწერილ სავალდებულო ზოგადი უცხო ენის კომპეტენციებს;

2.24. საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო საშუალო კვალიფიკაციის პროგრამებს უფლებამოსილია მოახდინოს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირება აღნიშნულ პროგრამაში, მიიღოს საბაზო ზოგადი განათლების მქონე აპლიკანტები და მიანიჭოს კურსდამთავრებულს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაცია;

2.25. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში იღებს შესაბამისი დონის პროფესიულ დიპლომს, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ასევე პროფესიული განათლების დიპლომი და ატესტატი რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.

2.26. ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზნით, ასევე არაავტორიზებული პროგრამის ფარგლებში მომზადებული მოკლევადიანი მომზადება /გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულება ვალდებულია მოიპოვოს პროგრამის განხორციელების უფლება;

2.27. ავტორიზებული საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ფარგლებში დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები, მოკლევადიანი პროფესიული კურსები;

2.28. კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დამტკიცებაზე, ცვლილების შეტანასა და გაუქმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 3. მოდულის შემუშავების წესი

3.1. მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში ის ცალკე უნდა დამტკიცდეს). თუ მოდულში შევა ცვლილება, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა სამართლებრივი აქტი, რომ შეიცვალა პროგრამის შესაბამისი დანართი;

3.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტი მოიცავს: ზოგად და პროფესიულ მოდულებს, ასევე არჩევით მოდულებს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და ინტეგრირების შემთხვევაში ინტეგრირებულ მოდულებს. დაწესებულებას შეუძლია მხოლოდ არჩევითი მოდულის შერჩევა და დამატება, რაც განაპირობებს პროგრამის ინდივიდუალურობას.

3.3. მოდულის „ზოგადი ინფორმაცია“ მოიცავს შემდეგ მონაცემებს: მოდულის სარეგისტრაციო ნომერი, სახელწოდება, გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი, კრედიტების მოცულობა, მოდულზე დაშვების წინაპირობა, მოდულის აღწერა;

3.4.მოდულის „სტანდარტული ჩანაწერები“მოიცავს შემდეგ მონაცემებს: სწავლის შედეგები, და შესრულების კრიტერიუმები, კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები და შეფასების მიმართულება;

3.5.მოდულის დამხმარე ჩანაწერები მოიცავს: სწავლებისა და შეფასების ორგანიზება; საათების განაწილების სქემა; სასწავლო რესურსი; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ან შეზღუდული უნარების მქონე მოსწავლეების სწავლებისთვის; შესაძლებელია მითითებული იყოს მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები.

3.6.დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები (და არა მიმართულებები);

3.8. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია;

3.9. "სტანდარტულ ჩანაწერებში" "შესრულების კრიტერიუმებისა" და "კომპეტენციის პარამეტრის ფარგლების" სვეტების ქვეშ ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილება გამოწვეულია შესაბამის ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით.

3.10. კოლეჯის მიერ არჩევითი მოდული ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებით ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შეძენა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პიროვნული განვითარების, დასაქმებისა (პერსპექტივების გაზრდისთვის) თუ თვითდასაქმებისათვის;

3.11. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს პროფესიული სტანდარტის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი მოდულები და შეარჩიოს ან განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული;

3.12. თუკი მოდულის შერჩევა სადაო ხდება, პროგრამის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებულ იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება;

3.13. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა, ასევე, შესაძლებელია შეიცვალოს გონივრული ვადით პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, მოდულებზე დაშვების წინაპირობები, ,,ქართული ენა A2/B1" მოდულის გონივრულ ვადებში განხორციელება);

3.14. საათების განაწილების სქემა - საათების განაწილებაში კოლეჯს შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები. შესაბამისად, საათების განაწილების ცხრილი იქნება ან ზუსტად ანალოგიურია დამტკიცებული განაწილების, ან საათების განაწილება სხვადასხვა კომპონენტს, ისევე როგორც სწავლის შედეგებს შორის იქნება გადათამაშებული, თუმცა ისე, რომ ჯამში საათების რაოდენობა უნდა უდრიდეს საგანმანათლებლო სტანდარტით დამტკიცებულ მოდულში მითითებულს.

საათების განაწილების ცვლილებისას; დასაშვებია ცვლილება როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს);

3.15. მოდულის განხორციელების მიდგომები - ფორმულირებები შეიძლება შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს კოლეჯის მიდგომებს;

3.16. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები -კოლეჯს შეუძლია თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, ასევე, შეცვალოს სწავლების მეთოდები, საკუთარი

შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგის შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად (მ.შ. ერთი ინსტრუმენტით);

3.17. მოდულის განხორციელების ადგილი - იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ მოდულებს მემორანდუმის საფუძველზე სხვადასხვა მისამართზე სავალდებულოა იმ ადგილის ან ადგილების მითითება, სადაც მოდული ხორციელდება: მისამართი, ოთახი და სხვა;

3.18. ტექნიკური აღჭურვილობა - საგანმანათლებლო პროგრამას (მოდულს) თან უნდა ახლდეს დაწესებულების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ნორმატივში მითითებულ პარამეტრებს და/ან გამონაკლის შემთხვევაში ჩანაცვლებულ აღჭურვილობას თან უნდა ერთვოდეს არგუმენტირებული დადასტურება, რომ ჩანაცვლებული აღჭურვილობა იძლევა მოდულის სწავლის მიღწევის შესაძლებლობას;

3.19. შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები - შეფასების მიმართულება და მტკიცებულებები გაწერილია მოდულში და გვიჩვენებს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა და რა ტიპის ინსტრუმენტი უნდა შეირჩეს მტკიცებულებად, თუმცა კოლეჯს უფლებამოსილია შეარჩიოს შეფასებისათვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტი. მთავარია ინსტრუმენტი შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს;

3.20. გამოყენებული ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები გაწერილია დამტკიცებულ მოდულში, სადაც ჩამოთვლილია რეკომენდირებული წყაროები. კოლეჯმა უნდა შეიტანოს მის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქაღალდზე ან ელეტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, ვებ-გვერდები და სხვა წყაროები, რასაც სასწავლებელი გამოიყენებს და კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი;

3.21. რეკომენდაციები საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის: უცვლელად რჩება და მოიცავს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის;

3.22. საგანმამათლებლო პროგრამას თან ერთვის პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი მასწავლებლების მონაცემები. შესაძლოა მოდულს ორი ან მეტი პირი ახორციელებდეს. ამ შემთხვევაში მიეთითება ყველა მათგანი.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/პროგრამის გაუქმება

4.1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის ცვლილების შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

4.2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

4.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების

ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

4.4. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს: ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;

ბ) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პროფესიული სტანდარტის გაუქმების შესახებ;

გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა;

დ) სხვა ობიექტური გარემოება

4.5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე.

4.6. პროგრამაში ცვლილების შეტანის და/ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ცვლილების განხორციელებამდე პროგრამაზე უკვე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს დაასრულებინოს სწავლა მილევად რეჟიმში და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

4.7. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4.8. დაწესებულებას საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს პროგრამის დანართებში. მაგ, სასწავლო გეგმის დახვეწა/განვითარება, მატერიალური რესურსების, ნედლეული, მასალის, მოდულის განმახორციელებლების ცვლილებები. მოდულში თემატიკის, სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნება და ა.შ. ამ ტიპის ცვლილებების განხორციელებისას არ დგება ცენტრის ინფორმირების საჭიროება.

4.9. პროგრამაში ცვლილების პროექტის მომზადების პარალელურად ხდება პროფესიულ სტუდენტთა წერილობითი ინფორმირება და განემარტებათ მათი უფლება - კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულონ სწავლა შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე ან განახორციელონ მობილობა.

4.10. მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი.

4.11. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით.

4.12. ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით ადმინისტრაციის წევრებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეცნობებათ ეფლოუს ან/და ელ. ფოსტით საშუალებით. დამტკიცებული

პროგრამა განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.

4.13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

4.14. კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებად, მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

4.15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე, კოლეჯის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სხვა პროფერსიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის წინმსწრებად გაფორმებას და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმებას და/ან მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანას, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

4.16. პროფესიული პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის შესაბამისობას.

4.17. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს პროფესიულ სტუდენტებზე კვალიფიკაციის მინიჭების მუდმივმოქმედი კომისია.

4.18. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 5. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების, მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების და არაფორმაალური სწავლების მოკლევადიანი პროფესიული კურსების შემუშავება.

5.1. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N 131 დადგენილების შესაბამისად.

5.2. პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

5.3. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

5.4. პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძვლები შეიძლება იყოს:

ა) პროფესიის სტანდარტი;

ბ) პროფესიული-საგანმანათლებლო სტანდარტი;

გ) მოდული/მოდულები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილი მოთხოვნები;

ე) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში ISCO-08-ს ან/და საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორში ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (იურიდიული პირი აღნიშნულ კლასიფიკატორებში ახდენს იმ პროფესიის/პროფესიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების შინაარსთან.) იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

5.5 პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება ხდება კოლეჯის მიერ მსურველთა მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან თანამშრომლობით, ხოლო განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, ხდება პროგრამების დანერგვა და განხორციელება როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე დუალური და/ან კოოპერატიული მიდგომით. 5.6.ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსება ხდება სამინისტროს მიერ 2019 წლის 15 მარტის N 131 დადგენილების შესაბამისად.

5.7.არაავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატების შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების მიზნით, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნულ მოკლევადიან პროგრამებზე მოიპოვოს განხორციელების უფლება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან.

5.8. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, ბიუჯეტის დაგეგმვასა და განკარგვაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაციის ფინანსური მიმართულების თანამშრომელი.

5.9. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების მასალების ხარჯვის კონტროლს ახორციელებს დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი.

5.10. არაფორმაალური სწავლების მოკლევადიანი პროფესიული კურსის შემუშავება ხდება მსურველთა მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელის მიერ;

5.11. კოლეჯის მიერ შემუშავებული არაფორმალური სწავლების მოკლევადიანი პროფესიული კურსის საფასური განისაზღვრება პროგრამის განხოციელებისთვის საჭირო აუცილებელი რესურსების დანახარჯის (ადამიანური და მატერიალური) დაანგარიშების შესაბამისად.

5.12. პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამები და მოკლევადიანი პროფესიული კურსები მტკიცდება კოლეჯის უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

5.13.პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი პროფესიული კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია დირექტორის მიერ სამუშაო აღწერილობით.

6. საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის შეფასება და განვითარება

6.1. კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დემინგის ციკლის შესაბამისად.

6.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია.

6.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.

6.4. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო დაწესებულება და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

6.5. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

6.6. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

6.7. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და

არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

6.8. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;

6.9. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროებისმიხედვით) ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით.